

# უმწეო გარდაცვლილის ოჯახზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა

მიზნობრივი პროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად დახმარებას ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ ელემენტარული ხარჯები მიცვალებულთა დასამარხად. ასევე პროგრამაში გათვალისწინებულია უპატრონო გარდაცვლილი მოქალაქეები, რომლების დასაფლავება ხშირ შემთხვევებში ქმნის სერიოზულ პრობლემას.

**პროგრამაში ჩასართველად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

1. განცხადება;
2. გარდაცვალების მოწმობა;
3. თანხის მიმღების პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
4. ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მომზადებული რწმუნება თანხის მიმღების თაობაზე;
5. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა ან მოწმობა ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ (სარეიტინგო ქულა 0 - 70 000 ქულის ჩათვლით).